Liberteens

Liberteens თინეიჯერების ჯგუფია, რომელიც კითხულობს და არჩევს მათ თაობაში თანამედროვე, პოპულარულ უცხოურ ლიტერატურას, რომელსაც შემდგომ **გამომცემლობა პალიტრა L** ქართულ ენაზე გამოსცემს.

სარა ჯ. მაასის „ნისლისა და მრისხანების სამეფო" სწორედ მათი არჩეული წიგნია.

რას ფიქრობს **Liber**teens ამ წიგნზე?

„ნისლისა და მრისხანების სამეფო" წინა წიგნის ღირსეული გაგრძელებაა. მაასი კვლავ ახერხებს მკითხველების გაოცებას. საინტერესო პერსონაჟები, დაძაბული სიუჟეტი და თავბრუდამხვევი სასიყვარულო თავგადასავალი – აი, რა ელოდება მკითხველს წინ."

მარიამ ონიანი, 18 წლის

„ამ წიგნში სიუჟეტი კიდევ უფრო საინტერესო და დაძაბული ხდება. უფრო შთამბეჭდავი ახალი პერსონაჟებია და მათი თავგადასავლებიც სწრაფად და საინტერესოდ იკითხება. ვინ არის რისენდი? რა უნდა მას ფერასგან? – ეს ორი კითხვა მთელი წიგნის განმავლობაში არ მასვენებდა. ამ კითხვებზე პასუხი კი ყველას გაოცებულს დატოვებს".

ირინე თვარაძე, 17 წლის

„ერთი შეხედვით, ფერას ცხოვრებაში ყველაფერი ცუდი წარსულში დარჩა. ის ახლა ტემლინთან, თავის საქმროსთან ერთად, გაზაფხულის – ეკლებისა და ვარდების სამეფოში ცხოვრობს. თითქოს ყველაფერი კარგადაა, თუმცა მომავალი ფერას ახალ დარბკოლებებს უმზადებს, და საბედნიეროდ, ახალ შანსსაც".

ნინო ახალაია, 18 წლის

სარა ჯ. მაასის „ნისლისა და მრისხანების სამეფო“ მსოფლიო გამოხმაურება

„გასაოცარი სიუჟეტური პერიპეტიები, უაღრესად რომანტიკული, ვნებიანი სასიყვარულო სცენების დამათრობელი მაგია უზადო გაგრძელებაა ამბისა, რომელიც წამითაც არ მოგცემთ ყურადღების მოდუნების საშუალებას და მკითხველს უფრო მეტის გაგების წყურვილით ავსებს“.

USA TODAY

„ჩინებულად შექმნილი სამყარო, მეორეხარისხოვანი პერსონაჟების სიმრავლე, დაძაბული სიუჟეტი და მოულოდნელი, გულის ამაჩუყებელი დასასრული, რომელიც გატყვევებს. მკითხველი უსათუოდ აიღებს ხელში წიგნის შემდეგ ნაწილს. მაასის ყველა წიგნი ბესტსელერია! მისი „მინის ტახტის“ წიგნთა ციკლი უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს და ეჭვი არავის ეპარება, რომ ავტორის ამ არანაკლებ პოპულარული სერიის ახალ ტომსაც მსგავსი დიდება ხვდება წილად.“

BOOKLIST

„თხრობის დაძაბული სტილი და სიამოვნების მომნიჭებელი წიგნი“.

PUBLISHER’S WEEKLY

„ეს ვნებიანი და თამამი სცენებით გამორჩეული, ეროტიკული ფენტეზი მკითხველს გულგრილს ნამდვილად არ დატოვებს“.

KIRKUS REVIEWS

გაყიდულია 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარი!
თარგმნილია 25 ენაზე!

ნისლისა და მრისხანების სამეფო

სარა ჯ. მაასი

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო შეყილაძე

თბილისი 2021

სარედაქციო ჯგუფი
ლია თოფურია
სალომე საბანაძე
მარინა ინანიშვილი
მზია ბარბაქაძე
ნატალია ახვლედიანი
შორენა დათაშვილი
გიორგი კიკაბიძე

Originally published as "A Court Of Mist and Fury" by Sarah J. Maas.
© Sarah J. Maas, 2016. This translation of "A Court Of Mist and Fury" is published by Palitra L by arrangement with Bloomsbury Publishing Inc.
All rights reserved.

© **გამომცემლობა პალიტრა** L, 2021
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-32-570-0

დაიბეჭდა შპს „კოლორში"

ნისლისა და მრისხანების სამეფო

სარა ჯ. მაასი

ეძღვნება ჯოშსა და ენის – ჩემს საკუთარ ოცნებათა სამეფოს.

პროლოგი

შეიძლება, ყოველთვის სულიერად გამტყდარი და შინაგანად ცუდი ვიყავი.

შეიძლება, ის ვიღაც სხვა, ვინც სულიერად ჯანმრთელი და კეთილი დაიბადა, იფნის ხანჯალს ხელში არ იღებდა და იმის ჩადენას, რაც მე ჩავიდინე, სიკვდილს ამჯობინებდა.

ყველგან სისხლი იყო.

სისხლიანი ხელი ამიკანკალდა, თავს ძალა დავატანე, რომ ხანჯლისათვის არ გამეშვა. იმ დროს, როცა ნორჩი მაღალი ფეის ცხედარი ჩემს ფეხებთან, მარმარილოს იატაკზე ცივდებოდა, შინაგანად ნელ-ნელა ვქუცმაცდებოდი.

ხანჯალს ვერ ვთმობდი, ადგილიდან ვერ ვინძრეოდი.

– კარგია, – ხმადაბლა თქვა ნასიამოვნებმა ემერანთამ ტახტიდან, – კიდევ ერთხელ.

ახალი იფნის ხანჯალი მელოდებოდა, კიდევ ერთი ფერია მუხლებზე იდგა. ქალი.

ვიცოდი, რას იტყოდა. ვხვდებოდი, რომელ ლოცვას გაიმეორებდა.

ვიცოდი, მასაც ისე მოვკლავდი, როგორც ნორჩ ფეას, ჩემ წინ რომ ეგდო.

ამას ჩავიდენდი – ყველა მათგანის გასათავისუფლებლად, ტემლინის გასათავისუფლებლად.

უდანაშაულოთა ჯალათი და მათივე მიწა-წყლის მხსნელი ვიყავი ერთდროულად.

– როცა მზად იქნები, მშვენიერო ფერა, – გაწელა სიტყვები ემერანთამ. მისი მუქი წითელი თმა ისეთივე ხასხასა იყო, როგორც სისხლი ჩემს ხელებზე. მარმარილოზე.

მკვლელი. ჯალათი. ურჩხული. მატყუარა. მაცდური.

უკვე აღარ ვიცოდი, ვის ვგულისხმობდი. ჩემსა და დედოფალს შორის ზღვარი დიდი ხნის წინ წაშლილიყო.

ხანჯალზე თითები გამეშვა, ხელიდან გამივარდა, მარმარილოს იატაკზე ხმაურით დაეცა და სისხლის მზარდ გუბეში ჩაიძირა. შხეფები ჩემს გაცვეთილ ჩექმას შეესხა. ჩექმა – ჩემი უწინდელი ცხოვრების გადმონაშთი, ახლა უკვე იმდენად შორს იყო, როგორც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ციებ-ცხელებისას ნანახი სიზმარი.

ქალ ფეას თვალი შევავლე, სიკვდილის მოლოდინში თავზე კაპიუშონიანს მოქნილი ტანი გაშეშებოდა. სიკვდილს ჩემი ხელიდან ელოდებოდა, მსხვერპლის გასაღებად მზად იყო.

შავი ხავერდის ბალიშზე იფნის ხანჯალს დავწვდი. ცივი ტარი. თბილი, სველი ხელი. მცველებმა ფეას თავიდან კაპიუშონი უხეშად გადააძვრეს.

ჩემზე მოშტერებული სახე ვიცანი.

ვიცანი მისი მოცისფრო-მონაცრისფრო თვალები, მოყავისფრო-მოოქროსფრო თმა, სავსე ტუჩები და გამოკვეთილი ყვრიმალები. ვიცანი მისი ახლა უკვე ნატიფად აპრეხილი ყურები და მისი ძლიერი, ჩამოქნილი კიდურები. ვიცანი მისი ყველა უწინდელი ადამიანური ნაკლი, რომელიც ახლა უკვე უკვდავის დახვეწილობით ბრწყინავდა.

ჩემთვის ნაცნობი იყო მისი სულის სიცარიელე, სასოწარკვეთილება და ის ზნეობრივი ხრწნა, რომელიც მისი მზერიდან გამოსჭვიოდა.

ხანჯალს ხელის აუკანკალებლად დავწვდი.

ნატიფ მხარში ხელი მტკიცედ ჩავავლე და საძულველ სახეს – ჩემს სახეს – დავაცქერდი.

მერე კი იფნის ხანჯალი საკუთარ თავს მომლოდინე გულში ჩავეცი.

ნაწილი პირველი

მხეცების სახლი

თავი 1

გული საპირფარეშოში ამერია, გრილ ტუალეტს ვეჭიდებოდი და ვცდილობდი, არ მეხმაურა.

მთვარის შუქი, სინათლის ერთადერთი წყარო და ჩემი ავადმყოფობის ერთადერთი მოწმე, მარმარილოს ვეებერთელა სააბაზანოში იპარებოდა. ტემლინი არც კი გატოკებულა, როცა შეკრთომამ გამომაღვიძა. და როცა საძინებელი დარბაზის წყვდიადი ემერანთას უკუნი ღამით მოცული ჯურღმულისგან ვერ განვასხვავე, ისეთმა შეგრძნებამ ამიტანა, თითქოს ცივ ოფლში კი არა, დახოცილ ფერიათა სისხლში ვცურავდი. საპირფარეშოსკენ გავიქეცი.

თხუთმეტი წუთია საპირფარეშოში ვარ, ველოდები, როდის გადამივლის ღებინებისა და კანკალის შეგრძნება, რომელიც ჩემს სხეულში ისე იშლება, როგორც ტბორის ზედაპირზე წარმოქმნილი რკალები ქვის ჩაგდებისას.

ქშენით ვეჭიდები უნიტაზს, სუნთქვას ვითვლი.

მორიგი კოშმარი. ბევრიდან ერთ-ერთი. ბოლო დროს ისინი, სიზმარსა თუ ცხადში, მოსვენებას არ მაძლევენ.

მთისქვეშეთში მომხდარიდან სამი თვე გავიდა. აგერ უკვე სამი თვეა, რაც ამ უკვდავ სხეულს ვეგუები. ვწვალობ, რომ როგორმე, ემერანთას შემდეგ, ჩემი ნამსხვრევებად ქცეული სამყარო გავამთლიანო.

მთელი ყურადღება სუნთქვაზე გადავიტანე – ცხვირით შესუნთქვა, პირით ამოსუნთქვა. ვიმეორებ.

თითქოს შვება ვიგრძენი, უნიტაზს ხელი გავუშვი, თუმცა შორს არ წავსულვარ. იქვე, კედელს მივუახლოვდი, შეღებული სარკმლიდან ღამის ცა მოჩანდა, ოფლით გაწებილ სახეზე ნიავი მომელამუნა. თავი კედელს მივადე, ხელებით კი მარმარილოს გრილ იატაკს დავეყრდენი. ცხადში ვარ.

ცხადში. გადავრჩი. გამოვაღწიე.

რასაკვირველია, თუ კვლავ სიზმარში არ ვარ... როგორც მაშინ, როცა ემერანთას ჯურღმულებში ციებ-ცხელებით შეპყრობილს კვლავ დილეგში გამეღვიძა და...

მუხლები მკერდთან მივიტანე. ცხადში, ცხადში ვარ-მეთქი, ვიმეორებდი ტუჩების მოძრაობით იქამდე, სანამ ფეხებისთვის ხელის გაშვება და თავის მაღლა აწევა არ შევძელი. ხელებში ტკივილი ვიგრძენი, რატომღაც თავისით მომემუშტა, სულ ცოტაც და ფრჩხილები ხორცში ჩამესობოდა.

უკვდავის ძალა – წყევლა უფრო იყო, ვიდრე საჩუქარი. აქ დაბრუნებიდან სამი დღის განმავლობაში ყველა დანა, ჩანგალი თუ კოვზი დავღუნე, რომელსაც კი შევეხე; გრძელ, სწრაფ ფეხებზე კი იმდენჯერ წავიბორძიკე, რომ ელისმა ყველა ძვირფასი და ფასდაუდებელი ნივთი ჩემი პირადი დარბაზებიდან გაიტანა (განსაკუთრებით მაშინ გაბრაზდა, როცა მაგიდიდან რვაასი წლის ლარნაკი გადმოვაგდე); უკვე არა ერთი ან ორი, არამედ *ხუთი* შუშის კარი დავამსხვრიე, როცა შემთხვევით მეტისმეტად ძლიერად დავხურე.

ღრმად ამოვისუნთქე და თითები გავშალე.

მარჯვენა ხელი ფერმკრთალი მქონდა, კანი კი – გლუვი. სრულყოფილი ფეა.

მარცხენა ხელი ამოვატრიალე, მუქი მელნის რკალები და ხვეულები, რომლებიც ჩემს თითებს, მაჯასა და მკლავს იდაყვამდე ფარავდნენ, საპირფარეშოში გაბატონებულ წყვდიადს ისრუტავდნენ. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ხელისგულზე გამოსახული თვალი, კატასავით მშვიდი და მაცდური, მაკვირდებოდა; გუგა გაჰფართოებოდა, თითქოს ღამის შუქს ეგუებოდა, ზუსტად ისე, როგორც ნამდვილი თვალი.

ხელისგულს წარბშეკრული დავაცქერდი.

მას, ვინც სვირინგიდან მითვალთვალებდა.

იმ სამი თვის განმავლობაში, რაც აქ ვიყავი, რისენდისგან არაფერი გაგვიგონია. სიტყვაც კი. ტემლინთან და ლუშიენთან, ან ვინმე სხვასთან, მასზე ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. მეშინოდა, ვაითუ ასე ღამის სამეფოს მაღალი ლორდი მეხმო და მისთვის ის ბრიყვული